

მდინარე დარბაზისხევის პალეოცენ-ქვედაეოცენური ნალექების სედიმენტოლოგიური და იქნოლოგიური კვლევის შედეგები (თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი)

ნინო კობახიძე

ninokobakhidze889@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ. 2

კომბინირებული იქნოლოგიური და სედიმენტოლოგიური კვლევების მეთოდი წარმოადგენს მძლავრ იარაღს ფაციესების ანალიზში, ნალექდაგროვებისა და სხვადასხვა პალეოეკოლოგიური გარემოს აღდგენა-დახასიათებაში. ამგვარი მიდგომა მსოფლიოში კარგად არის აპრობირებული, უაღრესად დიდი სამეცნიერო ღირებულებისაა და ინფორმატიული და აქტუალურია მრავალი გეოლოგიური პრობლემის გადასაწყვეტად.

ნაშრომში ასახულია თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის ფარგლებში, მდინარე დარბაზულას ხეობაში, პალეოცენ-ქვედაეოცენური ნალექების კომპლექსური იქნოლოგიურ-სედიმენტოლოგიური კვლევის წინასწარი შედეგები. ნალექებში პირველად მოხდა ნამარხი ნაკვალევების იდენტიფიცირება და შესწავლა. სედიმენტოლოგიური და იქნოლოგიური კვლევის შედეგებით დადასტურდა ღრმა ზღვის აუზის არსებობა.

ლიტერატურა

[1] Uchman A., Wetzel A. (2012) Deep-sea fans. In: Bromley, R.G., Knaust, D. (Eds.), Trace fossils as indicators of sedimentary environments. Dev. Sedimentol. 64, 643–671